გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ- ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის –**თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის** დირექტორის კანდიდატურის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. **ინსტიტუტის დირექტორს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღიაკონკურსისსაფუძველზე, ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიეროსაბჭოდადასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2. **ინსტიტუტის დირექტორად** შეიძლება შეირჩესპირი, რომელიცაკმაყოფილებს თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ვადიანი მთავარიმეცნიერითანამშრომლისთვის (არჩევის ვადა - 10 წელი) დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითადა ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-4 მუხლით.

3. კონკურსი ცხადდება ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად - 1 საშტატო ერთეული.კანდიდატისასაკი 65 წელსარუნდააღემატებოდეს.

4. კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს მთავარიმეცნიერითანამშრომლისადმი (არჩევის ვადა - 10 წელი) წაყენებულძირითადმოთხოვნებს (საკონკურსოდგამოცხადებულივაკანსიისპროფილისმიხედვით), რაცმდგომარეობსშემდეგში:

   კონკურსანტს უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამ-დებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო10 წლისგანმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მი-ხედვით. (ვაკანსიის პროფილის მიხედვით).

5. კონკურსანტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ:
   ა) სამეცნიერო დაწესებულების მართვის არანაკლებ 7 წლიანი გამოცდილება;

ბ) ბოლო 7 წლის მანძილზე საზღვარგარეთ გამართულ საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში ერთი სამეცნიერო სექციის (პანელის) თავმჯდომარეობა მაინც;

გ) პროფილური რეიტინგული სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობის 7 წლიანი გამოცდილება მაინც.

6. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელ-ფოსტის მისამართი.

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსანტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

დ) ორი ფოტოსურათი (3X4);

ე) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ვ) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);

ზ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების, აგრეთვე ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მისეული ხედვა;

ი) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არქონის შესახებ.

კონკურსი გამოცხადდეს 2023 წლის 14 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2023 წლის 21 ივნისიდან 2023 წლის 28 ივნისის ჩათვლით, 11:00-დან 17:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, გ. ქიქოძის ქ. №3, მეორე სართული, კანცელარია. საკონტაქტო ტელეფონი: 2983245.

სამეცნიერო საბჭოს შემაჯამებელი ოქმი თსუ-ს აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2023 წლის 4 ივლისისა.

ლაშა ბრეგვაძე

დირექტორი

თინათინ წერეთელის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი